იუსტიციის სახლების მშენებლობის დაფინანსების საკითხები

ზეწოლა თუ კეთილი ნება?

წინამდებარე კვლევა მომზადდა ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ პროექტის **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა“** ფარგლებში.

პროექტი მხარდაჭერილია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება საქართელოს პოზიციას

©ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 2014 წელი. ყველა უფლება დაცულია

2005 წელს დაბადებული იდეა, „ერთი სარკმლის პრინციპი“, რაც გულისხმობს ერთი რომელიმე უწყების მიერ გაცემული ცნობის მიღებას ერთ ადგილას, 2011 წელს პირველად სისრულეში მოვიდა და წელიწად ნახევრის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვ რეგიონში გაიხსნა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი თორმეტი იუსტიციის სახლი.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში IDFI შეეცადა გამოერკვია 2011 წლის ყველაზე წარმატებულ რეფორმად აღიარებული იუსტიციის სახლების მშენებლობაზე გახარჯული თანხების, დაფინანსების წყაროების და სამუშაოების შემსრულებელი კომპანიების შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით საქართველოს 12 იუსტიციის სახლის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, მარნეული, გორი, თელავი, ოზურგეთი, გურჯაანი, ახალციხე, ქუთაისი, მესტია, ყვარელი) მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯებმა სულ შეადგინა **214 365 260 ლარი** (185 361 334 ლარი, 16 400 000 აშშ დოლარი, 705 000 ევრო). აღნიშნული თანხიდან უდიდესი ნაწილის **67,3 %** (**144 291 594 ლარი)** დაფინანსება უზრუნველყვეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა სსიპ-ებმა (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, აღსრულების ეროვნული ბიურო, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) საკუთარი შემოსავლებით. იუსტიციის სახლების მშენებლობაზე გაწეული ხარჯების **13%** (**27 819 813 ლარი**) დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან, **15,4% (33 163 926 ლარი)** - სხვა საჯარო დაწესებულებების ბიუჯეტებიდან, ხოლო დანარჩენი **9 089 927 ლარის (4,2%) სამუშაოები სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებმა შეასრულეს უსასყიდლოდ.**


საქართველო ს იუსტიციის სახლების მშენებლობა
214 365 260 ლარი
სახელმწიფო ბიუჯეტი
27 819 813 ლარი
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
47 800623 ლარი
აღსრულების ეროვნული ბიურო
45 236 815 ლარი
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
51 254 156 ლარი
სხვა საჯარო დაწესებულებები
33 163 926 ლარი
უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოები
9 089 927 ლარი

საქართველოს იუსტიციის სახლების მშენებლობაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 33 163 926 ლარის დაფინანსება განახორციელეს სხვა საჯარო დაწესებულებებმა. მათ შორის საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თბილისის იუსტიციის სახლის მშენებლობა საკუთარი ბიუჯეტიდან დააფინანსა 16 400 000 აშშ დოლარის ოდენობით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საკუთარი ბიუჯეტიდან ბათუმის იუსტიციის სახლის მშენებლობა - 705 000 ევროს ოდენობით, საავტომობილო გზების დეპარტამენტს მესტიის იუსტიციის სახლის მშენებლობის დასაფინანსებლად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 1 500 000 ლარი, ხოლო სახელმწიფო 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ ქუთაისის იუსტიციის სახლის მშენებლობა საკუთარი შემოსავლებიდან დააფინანსა 2 660 000 ლარის ოდენობით.



ჩვენთვის ყველაზე საინტერესო და უცნაური აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ საქართველოს იუსტიციის სახლების მშენებლობებზე გაურკვეველი მოტივაციით 9 089 927 ლარის სამუშაოები სხვადასხვა სამშენებლო კომპანიების მიერ შესრულებულია უსასყიდლოდ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან მიღებული მონაცემების მიხედვით აღნიშნული ღირებულების სამუშაოები უსასყიდლოდ შეასრულა ცამეტმა კომპანიამ, რომელთაგან ყველაზე დიდი ღირებულების სამუშაო უსასყიდლოდ გასწია შპს „ზიმომ“ – 2 479 207 ლარი, შპს „ვესტ ინვესტმა“ – 2 000 000 ლარი, შპს „ენსისმა“ - 1 504 270 ლარი.


უსასყიდლოდ
შესრულებული სამუშაოები
9 089 927 ლარი
შპს "ზიმო"
2 479 207 ლარი
შპს "ვესტ ინვესტი"
2 000 000 ლარი
შპს "ენსისი"
1 504 270 ლარი
შპს "ალგეთი"
564 834 ლარი
შპს "ნიუ კონსტრაქშენი"
557 891 ლარი
სს "ხიდმშენი"
520 001 ლარი
შპს "გზა"
449 649 ლარი
შპს "კონსტუქცია"
417 283 ლარი
შპს "თბილი სახლი"
298 643
შპს "მგუ"
176 288 ლარი
შპს "ენერჯი"
71 008 ლარი
შპს "არქიტექტორული ჯგუფი და პარტნიორები"
70 000 ლარი
შპს "ელექტრიკალ სერვის გროუპ"
18 180 ლარი

IDFI-იმ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2013 წლის 15 ნოემბერს მიმართა ხსენებულ კომპანიებთან უსასყიდლოდ შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების ასლების მოთხოვნით. **სამწუხაროდ ინსტიტუტის მოთხოვნა აღნიშნული ხელშეკრულებების არ არსებობის თუ სხვა გაურკვეველი მიზეზების გამო დღემდე პასუხგაუცემელია.**

საქართველოს იუსტიციის სახლებიდან ყველაზე დიდი ხარჯი მშენებლობაზე გაწეულია თბილისის იუსტიციის სახლის შემთხვევაში - 135 834 918 ლარი. რიგით მეორეს მშენებლობაზე გაწეული ხარჯების სიდიდით წარმოადგენს ბათუმის იუსტიციის სახლი - 21 315 106 ლარი.

ყველაზე მცირე დანახარჯებით აშენებულ იუსტიციის სახლებს შორის გამოირჩევა მესტიის იუსტიციის სახლი - 1 716 860 ლარი.



თითოეულ იუსტიციის სახლის მშენებლობაზე გაწეული ხარჯების, დაფინანსების წყაროების და უსასყიდლოდ სამუშაოების შემსრულებელი კომპანიების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ. **სამწუხაროდ იუსტიციის სამინისტრომ ინსტიტუტის მოთხოვნა ზემოთ მოყვანილი დაფინანსებების ფარგლებში სამუშაოების შემსრულებელი კომპანიების შესახებ უპასუხოდ დატოვა.**

თბილისის იუსტიციის სახლი

არქიტექტორი : FUKSAS

ფართობი : 27 500 m^2

თანამშრომელთა რაოდენობა : 2013 პირი

გახსნის თარიღი : 2012 წლის სექტემბერი

მშენებლობის ხარჯი : 135 834 918 ლარი

თბილისის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე გაწეული ხარჯებიდან ყველაზე დიდი თანხა დაფინანსებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ საკუთარი სახსრებით - **36 170 042 ლარი**. მას მცირედით ჩამოუვარდება სსიპ - „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ საკუთარი სახსრებიდან გაწეული დაფინანსება - **32 090 684 ლარი**. სახელმწიფო ბიუჯეტიდან თბილისის იუსტიციის სახლის მშენებლობა დაფინანასდა - **24 409 424 ლარით**. სსიპ „აღსრულების ეროვნულმა ბიურომ“ საკუთარი სახსრებიდან გაიღო **13 374 755 ლარი**. თბილისის იუსტიციის სახლის მშენებლობის დაფინანსებაზე მონაწილეობა მიიღო ასევე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა **16 400 000 აშშ დოლარის** ოდენობით, ხოლო დანარჩენი **2 377 413 ლარის** დაფინანსება წარმოადგენს სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებისგან უსასყიდლოდ შესრულებულ სამუშაოებს.



საქართველოს ეროვნული ბანკის თბილისის იუსტიციის სახლის მშენებლობაში მონაწილეობის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 1 თებერვლის N01/02/01 განკარგულება, რომლის მიხედვითაც სანაპიროს ქუჩის N2-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 28 145 კვ.მ ფართობიდან 5 500 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი პირდაპირი მიყიდვის ფორმით 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად საკუთრებაში გადაეცა საქართველოს ეროვნულ ბანკს. პრივატიზაციის ერთ-ერთ პირობად განისაზღვრა აღნიშნულ ფართობზე ეროვნული ბანკის ახალი ცენტრალური ოფისის მშენებლობის მიზნით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების დაფინანსება **16 400 000 აშშ დოლარის** ოდენობით ეროვნული ბანკის ბიუჯეტიდან.

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვეში;

ბ) 2011 წლის ბოლომდე ქ.თბილისში, სანაპიროს ქუჩის №2- ში მდებარე 28145 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.18.03.003.010) ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების დაფინანსება 16 400 000 (თექვსმეტი მილიონ ოთხასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტი ძალაშია ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად აშენებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღების დღიდან.

4. ამ განკარგულების შესრულების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

მიხეილ სააკაშვილი

თბილისის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე **2 377 413 ლარის** ღირებულების სამუშაოები სხვადასხვა კომპანიებმა შეასრულეს უსასყიდლოდ. აღნიშნული თანხიდან ყველაზე დიდი თანხის (1 504 270 ლარი) ღირებულების სამუშაოები, რომელიც უკავშირდება ავტოსადგომის საძირკვლის მოწყობას უსასყიდლოდ გასწია შპს „ენსისმა". ავტოსადგომის საძირკვლის მოწყობაზე 557 891 ლარის ღირებულების სამუშაოები უსასყიდლოდ შეასრულა შპს „ნიუ კონსტრაქშენმა", ხოლო შპს „მგუმ" ავტოსადგომის საძირკვლის მოწყობისთვის 176 288 ლარის ღირებულების არმატურა მიაწოდა უსასყიდლოდ. სს „ხიდმშენმა" თბილისის იუსტიციის სახლთან ფეხით მოსიარულეთა ხიდის ფუნდამენტის მოწყობაზე 138 965 ლარის ღირებულების სამუშაოები შეასრულა უსასყიდლოდ.

თბილისის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოები

შპს "ენსისი"	•**1 504 270 ლარი** •ავტოსადგომის საძირკვლის მოწყობა
შპს "ნიუ კონსტრაქშენი"	•**557 891 ლარი** •ავტოსადგომის საძირკვლის მოწყობა
შპს "მგუ"	•**176 288 ლარი** •ავტოსადგომის საძირკვლის მოწყობისთვის არმატურის მიწოდება
სს "ხიდმშენი"	• **138 965 ლარი** •იუსტიციის სახლთან ფეხით მოსიარულეთა ხიდის ფუნდამენტის მოწყობა

ბათუმის იუსტიციის სახლი

არქიტექტორი : MICHELE DE LUCCHI

ფართობი : 5840 $მ^2$

თანამშრომელთა რაოდენობა : 114 პირი

გახსნის თარიღი : 2011 წლის მაისი

მშენებლობის ხარჯი : 21 315 106 ლარი

ბათუმის იუსტიციის სახლის მშენებლობა ყველაზე დიდი თანხით დაფინანსებულია სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ საკუთარი სახსრებით - **11 260 872 ლარი**. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ საკუთარი სახსრებიდან ხსენებული მშენებლობისთვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა - 4 250 907 ლარი, ხოლო სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ – 3 331 070 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ბათუმის იუსტიციის სახლის მშენებლობა დაფინანსდა მხოლოდ 14 000 ლარით.

ბათუმის იუსტიციის სახლის მშენებლობის დაფინანსებაზე მონაწილეობა მიიღო ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა **705 000 ევროს** ოდენობით, ხოლო დანარჩენი **866 931 ლარის დაფინანსება წარმოადგენს სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებისგან უსასყიდლოდ შესრულებულ სამუშაოებს.**



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბათუმის იუსტიციის სახლის მშენებლობაში მონაწილეობის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 ივნისის N827 განკარგულება, რომლის მიხედვითაც იმ დროისათვის საქართველოს კონტროლის პალატა, საკუთარი ოფისის განთავსების მიზნით, შეუერთდა ქ. ბათუმში იუსტიციის სახლის მშენებლობის პროცესს.

საქართველოს მთავრობის
განკარგულება
N 827 2010 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

„აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ქ. ბათუმში) "იუსტიციის სახლის" ოფისის მშენებლობასთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 ოქტომბრის N810 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ქ. ბათუმში) "იუსტიციის სახლის" ოფისის მშენებლობასთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 ოქტომბრის N810 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და მისი მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სამოქალაქო რეესტრის სააგენტო და აღსრულების ეროვნული ბიურო) მათ მიერ ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციებისათვის კომპლექსური მომსახურების გაწევის მიზნით, ასევე, საქართველოს კონტროლის პალატამ, მის მიერ კონტროლისა და აუდიტის პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ქ. ბათუმში) "იუსტიციის სახლის" ოფისის მშენებლობისათვის შესაბამისი ფინანსური რესურსების მობილიზება უზრუნველყონ კოორდინირებულად.

2. "იუსტიციის სახლის" ოფისის დეტალური დაპროექტების მომსახურების, სამშენებლო სამუშაოების, საქონლისა და თანმდევი მომსახურების, აგრეთვე, "იუსტიციის სახლის" ოფისის მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვისათვის საჭირო დაფინანსება განახორციელონ:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, მისთვის 2009-2011 წლების ბიუჯეტებით დამტკიცებულ ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე;

ბ) საქართველოს კონტროლის პალატამ, მისთვის 2010-2011 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში;

გ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სამოქალაქო რეესტრის სააგენტო და აღსრულების ეროვნული ბიურო), მათ მიერ 2009-2011 წლებში კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული შემოსავლებიდან, მათთვის კანონმდებლობით დაკისრებული მიზნებისა და ფუნქციების განხორციელების შეუფერხებლად.

ბათუმის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე უსასყიდლოდ შესრულებულმა სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 866 931 ლარი, რომელიც დაახლოებით თანაბრად გადაინაწილა შპს „კონსტუქციამ“ და შპს „გზამ“. **შპს „კონსტუქციამ“ უსასყიდლოდ შეასრულა 417 283 ლარის ლითონის კონსტრუქციების დამზადების სამუშაოები , ხოლო**

შპს „გზამ“ 449 649 ლარის ღირებულების გარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები.

ბათუმის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოები	
შპს "კონსტუქცია"	• **417 283 ლარი** • ლითონის კონსტრუქციების დამზადება
შპს "გზა"	• **449 649 ლარი** • გარე ტერიტორიების კეთილმოწყობა

ქუთაისის იუსტიციის სახლი

არქიტექტორი : AG & PARTNERS

ფართობი : 5000 $მ^2$

თანამშრომელთა რაოდენობა : 125 პირი

გახსნის თარიღი : 2011 წლის ოქტომბერი

მშენებლობის ხარჯი : 12 053 105 ლარი

ქუთაისის იუსტიციის სახლის მშენებლობა ყველაზე დიდი თანხით დაფინანსდა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ საკუთარი სახსრებით - 6 240 795 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნული მშენებლობისთვის გამოყოფილია 1 152 310 ლარი. ქუთაისის იუსტიციის სახლის მშენებლობა 2 660 000 ლარის ოდენობით დააფინანსა სახელმწიფო 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილმა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“, რომლის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ქონების პრივატიზება. დანარჩენი თანხის (2 000 000 ლარი) ღირებულების სამშენებლო სამუშაოები უსასყიდლოდ შეასრულა შპს „ვესტ ინვესტმა“.



ქუთაისის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოები	
შპს "ვესტ ინვესტი"	• **2 000 000 ლარი** • სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები

გორის იუსტიციის სახლი

არქიტექტორი : AG & PARTNERS

ფართობი : 3000 $მ^2$

თანამშრომელთა რაოდენობა : 85 პირი

გახსნის თარიღი : 2012 წლის სექტემბერი

მშენებლობის ხარჯი : 10 752 961 ლარი

გორის იუსტიციის სახლის მშენებლობის დაფინანსება სრულად განხორციელდა სსიპ "აღსრულების ეროვნული ბიუროს" საკუთარი სახსრებით.

მარნეულის იუსტიციის სახლი

არქიტექტორი : MICHELE DE LUCCHI

ფართობი : 3200 $მ^2$

თანამშრომელთა რაოდენობა : 42 პირი

გახსნის თარიღი : 2012 წლის სექტემბერი

მშენებლობის ხარჯი : 6 746 162 ლარი

მარნეულის იუსტიციის სახლის მშენებლობის დაფინანსება 5 837 616 ლარით უზრუნველყო სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ" საკუთარი სახსრებით, ხოლო დანარჩენი თანხის (908 506 ლარი) ღირებულების სამუშაოები შესრულებულია უსასყიდლოდ. **შპს "ალგეთმა" უსასყიდლოდ შეასრულა 564 834 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები, ხოლო შპს „მგუმ" უსასყიდლოდ განახორციელა 343 713 ლარის ღირებულების არმატურის მიწოდება საძირკვლის მოწყობისთვის.**



მარნეულის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოები	
შპს "ალგეთი"	• **564 834 ლარი** • სამშენებლო სამუშაოები
შპს "მგუ"	• **343 713 ლარი** • საძირკვლის მოწყობისთვის არმატურის მიწოდება

ახალციხის იუსტიციის სახლი

არქიტექტორი : AG & PARTNERS

ფართობი : 1 500 m^2

თანამშრომელთა რაოდენობა : 24 პირი

გახსნის თარიღი : 2012 წლის აგვისტო

მშენებლობის ხარჯი : 6 388 737 ლარი

ახალციხის იუსტიციის სახლის მშენებლობა ძირითადად დაფინანსებული სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" საკუთარი სახსრებით - 5 514 094 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 576 000 ლარი, ხოლო დანარჩენი თანხის (298 643 ლარი) ღირებულების სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია უსასყიდლოდ. **შპს „თბილმა სახლმა" ზემოთ ხსენებული თანხის ღირებულების გათბობა-კონდიცირების სისტემის მოწყობა უზრუნველყო უსასყიდლოდ.**



ახალციხის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოები	
შპს "თბილი სახლი"	• **298 643 ლარი** • გათბობა-კონდიცირების სისტემის მოწყობა

თელავის იუსტიციის სახლი

არქიტექტორი: LABORATORY OF ARCHITECTURE

ფართობი: 3 000 $მ^2$

თანამშრომელთა რაოდენობა : 40 პირი

გახსნის თარიღი : 2012 წლის აგვისტო

მშენებლობის ხარჯი : 4 806 475 ლარი

თელავის იუსტიციის სახლის მშენებლობის სამუშაოების ღირებულების ნახევარზე მეტი (2 479 206 ლარი) უსასყიდლოდ შეასრულა შპს „ზიმომ“. ხოლო დანარჩენი თანხა 2 327 269 ლარი დაფინანსებულია სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ საკუთარი სახსრებით.



თელავის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოები

შპს "ზიმო"	• **2 479 206 ლარი** • სამშენებლო სამუშაოები

ოზურგეთის იუსტიციის სახლი

არქიტექტორი: ARCHITECTS OF INVENTION

ფართობი: 1 500 $მ^2$

თანამშრომელთა რაოდენობა : 42 პირი

გახსნის თარიღი : 2012 წლის აპრილი

მშენებლობის ხარჯი : 4 747 339 ლარი

ოზურგეთის იუსტიციის სახლის მშენებლობის უდიდესი ნაწილი დაფინანსებულია სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ საკუთარი სახსრებით - 3 890 151 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება განხორციელდა 768 000 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენი თანხის ღირებულების სამუშაოები შესრულებულია

უსასყიდლოდ. **შპს „ელექტრიკალ სერვის გროუპმა“ შეასრულა უსასყიდლოდ სანათების მიწოდებისა და მონტაჟის 18 180 ლარის ღირებულების სამუშაო, ხოლო შპს „ენერჯმა“ – 71 008 ლარის ღირებულების ელექტრო სამუშაოები.**



ოზურგეთის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოები	
შპს "ელექტრიკალ სერვის გროუპ"	• **18 180 ლარი** • სანათების მიწოდება და მონტაჟი
შპს "ენერჯი"	• **343 713 ლარი** • ელექტროსამუშაოები

გურჯაანის იუსტიციის სახლი

არქიტექტორი: AG & PARTNERS

ფართობი: 1 500 m^2

თანამშრომელთა რაოდენობა : 48 პირი

გახსნის თარიღი : 2012 წლის ივნისი

მშენებლობის ხარჯი : 4 460 585 ლარი

გურჯაანის იუსტიციის სახლის მშენებლობის უდიდესი ნაწილი დაფინანსებულია სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ საკუთარი სახსრებით - 3 777 366 ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა (683 219 ლარი) დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. გურჯაანის იუსტიციის სახლის შემთხვევაში უსასყიდლოდ შესრულებულ სამუშაოებს ადგილი არ ჰქონია.



ყვარლის იუსტიციის სახლი

არქიტექტორი: AG & PARTNERS

ფართობი: 514 m^2

თანამშრომელთა რაოდენობა : 14 პირი

გახსნის თარიღი : 2012 წლის სექტემბერი

მშენებლობის ხარჯი : 3 677 432 ლარი

ყვარლის იუსტიციის სახლის მშენებლობა 3 607 432 ლარით დააფინანსა სსიპ „აღსრულების ეროვნულმა ბიურომ“ საკუთარი სახსრებით. **შპს „არქიტექტორული ჯგუფი და პარტნიორებმა“ 70 000 ლარის ღირებულების მომსახურება (არქიტექტორული პროექტის შექმნა) გასწია უსასყიდლოდ.**



ყვარლის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოები

შპს "არქიტექტორული ჯგუფი და პარტნიორები"	• **70 000 ლარი** • არქიტექტორული პროექტის შექმნა

რუსთავის იუსტიციის სახლი

არქიტექტორი: CAPITAL ARCHITECTURE

ფართობი: 1426 $მ^2$

თანამშრომელთა რაოდენობა : 74 პირი

გახსნის თარიღი : 2012 წლის ივნისი

მშენებლობის ხარჯი : 1 865 580 ლარი

რუსთავის იუსტიციის სახლის მშენებლობის დაფინანსება სრულად განხორციელდა სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" საკუთარი სახსრებით.

მესტიის იუსტიციის სახლი

არქიტექტორი: JURGEN MAYF

ფართობი: 492 $მ^2$

თანამშრომელთა რაოდენობა : 8 პირი

გახსნის თარიღი : 2011 წლის სექტემბერი

მშენებლობის ხარჯი : 1 716 860 ლარი

მესტიის იუსტიციის სახლის მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა 216 860 ლარით. დანარჩენი თანხის (1 500 000 ლარი) დაფინანსება უზრუნველყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა.



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-01/6634
12/11/2013

6634-2-01-2-201311121546

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების

ინსტიტუტის დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ასლი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა

და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

ბატონო გიორგი,

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში მიმდინარე წლის 7 ნოემბერს შემოვიდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს N5532/გ წერილი, თქვენი 2013 წლის 17 ოქტომბრის N OPD10/13-004 განცხადების შესახებ, რომელიც ეხებოდა მესტიის იუსტიციის სახლის მშენებლობას.

„დაბა მესტიაში „იუსტიციის სახლის" ოფისის საპროექტო, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების, საპროექტო, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების, შენობაში განთავსებული ავეჯის, ტექნიკისა და შენობის ფუნქციონირებისათვის საჭირო მოწყობილობებისა და აღჭურვილობების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 მარტის N560 (ცვლილება შევიდა 2011 წლის 13 მაისის N1018 განკარგულებით) განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს გამოეყო 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი.

დასკვნა

როგორც წინამდებარე კვლევამ აჩვენა ბოლო პერიოდის საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმად აღიარებული იუსტიციის სახლების მშენებლობა დაკავშირებულია მთელ რიგ კითხვებთან, რომელიც დღემდე პასუხგაუცემელია. როგორც გამოჩნდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მშენებლობის დაფინანსებამ მხოლოდ მთლიანი თანხის 15,4% შეადგინა, ხოლო დანარჩენი დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების შემოსავლები და „ქველმოქმედი“ სამშენებლო კომპანიების უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოები.

IDFI შეეცადა გაეანალიზებინა სხვადასხვა კომპანიების მხრიდან სამშენებლო სამუშაოების უსასყიდლოდ შესრულების ძირითადი მოტივები:

1) ქველმოქმედება

საქართველოს იუსტიციის სახლების მშენებლობის თანა დამფინანსებლად (ამ შემთხვევაში უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოების სახით) გვევლინებიან კომპანიები, რომელთა საქმიანობა დაფუძნებულია უშუალოდ აღნიშნული ტიპის საქმიანობით მიღებული შემოსავლებისგან.

მოგებაზე ორიენტირებული კომპანიებისგან, რომელთა შემოსავლების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო მშენებლობებში მონაწილეობის გზით დაფინანსების მიღება, ჩვენი აზრით ნაკლებად სავარაუდოს ხდის იმ ვარაუდს, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაოები, ქვემოთ მოყვანილი ორი ფაქტორისგან დამოუკიდებლად, უსასყიდლოდ იქნა განხორციელებული.

2) ზეწოლა

საქართველოს იუსტიციის სახლების მშენებლობაზე ზეწოლის პირობებში უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოების შემთხვევაში, დაზარალებულ კომპანიებისთვის შესაძლებელი გახდებოდა პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ მიემართათ შესაბამისი სამართლებრივი პროცედურებისთვის.

IDFI ხსენებულ კომპანიებთან დაკავშირების გზით ცდილობდა გამოერკვია, რამდენად ზეწოლის პირობებში ხდებოდა მათი კომპანიების მიერ აღნიშნული სამუშაოების უსასყიდლოდ შესრულება. კომპანიების უმრავლესობამ, რომლებიც დღეის მდგომარეობითაც ფუნქციონირებს, რაიმე სახის ინფორმაციის მოწოდებისგან თავი შეიკავეს, მხოლოდ ერთმა კომპანიამ (ინსტიტუტი აღნიშნული კომპანიის სახელს შეგნებულად არ ასახელებს) დაუდასტურა, რომ **ამ ეტაპზე მათ არ ჰქონდათ არანაირი სახის საჩივარი შეტანილი და სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვას აპირებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შეიქმნებოდა სხვა პრეცედენტი აღნიშნული სახით ქონების დაბრუნებისა.**

2013 წლის 12 ნოემბერს IDFI - იმ საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა იუსტიციის სახლების მშენებლობაზე უსასყიდლოდ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით იურიდიული ან ფიზიკური პირების მიერ შესული განცხადებების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით. მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში წარმოდგენილია მხოლოდ შპს „ნიუ კონსტრაქშენისა“ და შპს „ალგეთის“ განცხადებები. რაც ირიბად უკვე ადასტურებს მინიმუმ ამ ორ კომპანიაზე განხორციელებული ზეწოლის სავარაუდო ფაქტებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა
Ministry of Justice of Georgia
Office of the Chief Prosecutor of Georgia

KA011322918252613

გორგასლის ქ. 24, თბილისი 0114, ტელ/ ფაქსი: +(995 32)2 405 142
24, Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia. Tel/Fax: +(995 32)2 405 142

E-mail: international@justice.gov.ge
www.justice.gov.ge www.psg.gov.ge

№ 13/14175

12 / დეკემბერი / 2013 წ.

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტის" დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ქ. თბილისი, ა. გრიბოედოვის ქ. 3

ბატონო გიორგი,

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ განხილულ იქნა თქვენი, 2013 წლის 12 ნოემბრის განცხადება, (რეგისტარციის #01/13-10135) რომლითაც ითხოვთ იუსტიციის სახლების მშენებლობის პროცესში უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოების თაობაზე იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიერ შემოსული განცხადებათა შესახებ ინფორმაციას და გაცნობებთ, რომ მსგავსი შინაარსის განცხადება საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტში არ შემოსულა. ხოლო მთავარი პროკურატურის საგამომიებო ნაწილში წარმოდგენილია შპს „ნიუ კონტრაქშენისა და შპს „ალგეთის" განცხადებები.

საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის N1491 განკარგულების მიხედვით შპს „ნიუ კონსტრაქშენს" თბილისის იუსტიციის სახლის ავტოსადგომზე შესრულებული სამუშაოებისთვის ღირებულების ანაზღაურების მიზნით, აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთარი შემოსავლებიდან გამოეყო 230 052 ლარი. ვფიქრობთ ის ფაქტი, რომ კომპანიამ მოითხოვა და მთავრობამ გამოყო კონკრეტული თანხა ავტოსადგომის მშენებლობის დასრულებისთვის, ასევე ირიბად შეიძლება მიანიშნებდეს იმ ფაქტზე, რომ იგივე ავტოსადგომის მშენებლობაზე შპს „ნიუ კონსტრაქშენის" მიერ 557 891 ლარის უსასყიდლოთ შესრულებული სამუშაოები ვერ იქნებოდა დაფუძნებული კომპანიის მხოლოდ კეთილ სურვილზე.

№1491 2013 წლის 21 ოქტომბერი ქ. თბილისი

ქ. თბილისის იუსტიციის სახლის ავტოსადგომის მშენებლობაზე
შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების თაობაზე

1. ქ. თბილისის იუსტიციის სახლის ავტოსადგომის მშენებლობაზე შპს „ნიუ კონსტრაქშენის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 243917302) მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთარი შემოსავლებიდან გამოიყოს 230,052.15 ლარი.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული თანხის ანაზღაურების ვადებისა და პირობების შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - აღსრულების ეროვნული ბიურომ გააფორმოს შეთანხმება შპს „ნიუ კონსტრაქშენთან“.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**

3) გარიგება

იუსტიციის სახლების მშენებლობაზე უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოების მოტივაციას (ქველმოქმედებისა და იძულების არ არსებობის პირობებში) კომპანიებისთვის შესაძლებელია წარმოადგენდეს გარკვეული შეთანხმება / გარიგება სახელმწიფო ორგანოებთან (ან მაღალი თანამდებობის პირებთან). მაგ. კომპანიებმა უსასყიდლოდ შესრულებული გარკვეული სამუშაოების სანაცვლოდ შესაძლებელია მიიღეს გარანტია სხვა მომგებიანი სახელმწიფო პროექტების შესრულებაზე, მითუმეტეს, რომ ტენდერების ელექტრონული სისტემის გვერდის ავლით, პირდაპირი მიყიდვის

გზით შესასრულებელი სამუშაოების დაფინანსება საქართველოში ხშირად მიღებული პრაქტიკაა.

მაგალითად, იუსტიცის სახლების მშენებლობაზე ყველაზე დიდი ღირებულების სამუშაოების უსასყიდლოდ შემსრულებელ კომპანიას წარმოადგენს შპს „ზიმო“, რომლის სახელს უკავშირდება ისეთი მსხვილი სამოქალაქო მშენებლობები როგორიცაა: ქ. ბათუმში შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობა, პირსისა და მონუმენტის მშენებლობა ქალაქ ლაზიკაში, პოლიციის შენობის მშენებლობა მესტიაში, ავტობანის მშენებლობები და სხვ.



შპს „ზიმოს“ შესრულებული სამოქალაქო მშენებლობები

ასევე, თბილისის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოების სიდიდით ერთ-ერთი გამორჩეული კომპანია იყო შპს „ენსისი“ - 1 504 270 ლარი. ცნობილია, რომ პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ დაკავებული იქნა შპს „ენსისის“ ხელმძღვანელი, რომელსაც ბრალი წარედგინა შემოსავლების უკანონო ლეგალიზაცია და ფულის გათეთრებაში. შსს-ს მიერ გამოქვეყნებული თბილისის განვითარების ფონდსა და შპს „ენსისის“ შორის გაფორმებული ერთ - ერთი ხელშეკრულების მიხედვით რიყის ტერიტორიაზე მუსიკალური ცენტრისა და საგამოფენო დარბაზის მშენებლობისათვის კომპანია დაფინანსდა 89 მილიონი ლარით.

ზემოთ მოყვანილი ფაქტორები (მოგებაზე ორიენტირებული შპს-ების მიერ უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოები, იუსტიციის სამინისტროს მხრიდან ხსენებულ კომპანიებთან უსასყიდლოდ შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების ინსტიტუტისთვის არ მოწოდება, იუსტიციის სახლების მშენებლობაზე მონაწილე კომპანიებიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში შესული განცხადებები) ბუნდოვანს ხდის იუსტიციის სახლების მშენებლობის პროცესის დაფინანსების საკითხებს და აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ სხვადასხვა კერძო კომპანიები იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოებს ასრულებდნენ შესაძლო იძულებისა ან/და არაკანონიერი გარიგებების პირობებში.